№995 2015 წლის 18 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და ტერიტორიულ ორგანოებზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიეცეს თანხმობა:

ა) სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა განისაზღვროს არა უმეტეს 82 ერთეულით;

ბ) სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა განისაზღვროს არა უმეტეს 7 ერთეულით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**